

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი სახის სერვისები:

- საზღვაო სანავიგაციო მოწყობილობებისა და საშუალებების მეთვალყურეობა და მომსახურების უზრუნველყოფა;
- სანავიგაციო და ჰიდროგრაფიული მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფა საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში;
- ნავსადგურებში, ნავსადგურთან მისასვლელ გზებში (არხები) და სანაპირო ზოლში ზღვის სიღრმეების გაზომვა, მცურავი საშუალებების უსაფრთხო ნაოსნობისა და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე;
- საზღვაო სანავიგაციო ელექტრონული და ქაღალდის რუკების დამზადება;
- ბათიმეტრული (მრავალსხივიანი ექოლოტით) მონაცემების შეგროვება (3 მეტრიდან 450 მეტრის სიღრმემდე);
- ბათიმეტრული (ერთსხივიანი ექოლოტით) მონაცემების შეგროვება (0 დან 900 მეტრის სიღრმემდე), გაცემა;
- რელიეფის ბათიმეტრული დასურათება რასტრულ ფაილებში (3 მეტრიდან 450 მეტრის სიღრმემდე);
- სანაპირო ზოლის გეოდეზია;
- ჰიდროგრაფიული და გეოდეზიური კვლევების განხორციელება პორტებში, პორტების მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სანაპირო ზოლში, GEOREP -ის სივრცეში;
- სანაპირო ზოლის შესწავლა, მათი ასახვას ელექტრონული, ციფრული თუ წერილობითი სახით;
- გენერალური რუკების, სამგზავრო სანავიგაციო და პორტების რუკების წარმოება – კორექტირება.